

შპს „აკმა“
448407153

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო
საწარმოებისათვის

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ინფორმაცია	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3 გვ.
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4 გვ.
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5 გვ.
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6 გვ.
ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	
ზოგადი ინფორმაცია	7 გვ.
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7 გვ.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	7 გვ.
- საანგარიშგებო ვალუტა	8 გვ.
- სააღრიცხვო პოლიტიკა	8 გვ.
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9 გვ.
- სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება)	9 გვ.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის (მარაგის) აღრიცხვა	10 გვ.
- ძირითადი საშუალებები	10 გვ.
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება)	11 გვ.
- ამონაგების აღიარება	12 გვ.
- ხარჯების აღიარება	12 გვ.
ფული და ფულის ეკვივალენტები	13 გვ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13 გვ.
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	13 გვ.
ძირითადი საშუალებები	14 გვ.
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14 გვ.
სასესხო ვალდებულებები	15 გვ.
ამონაგები	15 გვ.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15 გვ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მაჩვენებლის დასახელება	31.12.2022	31.12.2021
აქტივები	2 704 638,51	2 355 445,49
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 351,52	1 362 463,14
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 701 286,99	977 119,00
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		15 863,35
მარაგები	1 770 831,31	749 686,85
მზა პროდუქცია		
სხვა	1 770 831,31	749 686,85
სხვა მოკლევადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	219 386,90	23 291,14
მიწა		
შენობა-ნაგებობები	15 620,26	19 525,33
სხვა ძირითადი საშუალებები	203 766,64	3 765,81
არამატერიალური აქტივები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	4 694 856,72	3 128 423,48
ვალდებულებები	1 295 165,26	365 077,02
სავაჭრო ვალდებულებები	479 159,05	164 426,00
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	329 203,18	
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი		
მესაკუთრეებისაგან ნასესხები თანხები		
ბანკებისგან ნასესხები თანხები	486 803,03	200 000,00
სხვა ნასესხები თანხები		
სხვა ვალდებულებები		651,02
საკუთარი კაპიტალი	3 399 691,46	2 763 346,46
საკუთარი კაპიტალი (სს-ისთვის სააქციო კაპიტალი)		
საემისიო კაპიტალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3 399 691,46	2 763 346,46
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4 694 856,72	3 128 423,48

შპს „აკმა“-ს სახელით

2023 წლის 29 აგვისტო

დირექტორი ქ. გოგიტიძე ჯამბულ გოგიტიძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	9 242 684,44	18 747 220,58
მომსახურების გაწევიდან	8 376 855,25	17 093 142,65
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	865 829,19	1 654 077,93
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	-7 294 957,63	-15 011 792,23
საერთო მოგება	1 947 726,81	3 735 428,35
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-68 512,74	-29 351,00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-27 748,38	-808,86
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-67 103,71	-13 685,54
იჯარის ხარჯი	-3 559,29	-2 372,86
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-644 739,67	-1 331 818,10
სულ საოპერაციო ხარჯები	-811 663,79	-1 378 036,36
საოპერაციო მოგება	1 136 063,02	2 357 391,99
გაუფასურების ხარჯი		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-130 210,00	-36 249,18
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2 009,00	
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	1 007 862,02	2 321 142,81
მოგების გადასახადის ხარჯი	-55 727,55	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	952 134,47	2 321 142,81
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი(წინა წლის საბოლოო ნაშთი)	2 763 346,46	442 203,65
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა		
გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა		
განაწილება მესაკუთრეებზე(მათ შორის დივიდენდი)	-315 789,47	
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	3 399 691,46	2 763 346,46

შპს „აკმა“-ს სახელით

2023 წლის 29 აგვისტო

დირექტორი ქ. გოგიტიძე ჯამბულ გოგიტიძე



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-964 910,48	739 158,30
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-223 844,21	-24 100,06
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-13 197,02	200 000,00
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1 201 951,71	915 058,24
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-157 160,12	-36 954,98
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 362 463,35	484 360,09
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 351,52	1 362 463,35

შპს „აკმა“-ს სახელით

2023 წლის 29 აგვისტო

დირექტორი ქ. გოგიტიძე ჯამბულ გოგიტიძე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
კაპიტალის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2 763 346,46	442 203,77
ახალი აქციების გამოშვება	-371 517,02	
განაწილება მესაკუთრეებზე	1 007 862,02	2 321 142,69
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალის ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3 399 691,46	2 763 346,46

შპს „აკმა“-ს სახელით

2023 წლის 29 აგვისტო

დირექტორი ქ. გოგიცაძე ჯამბულ გოგიტიძე



შპს „აკმა“-ს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აკმა“-ს საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია 2018 წლის 25 მაისი. კომპანიის სამართლებრივი ფორაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს „აკმა“-ს საინდივიდუალური კოდია 448407153, ხოლო იურიდიული მისამართია: საქართველო, ხელვაჩაურის რაიონი, ს. ყოროლისთავი, მე-4 III ჩიხი, N 4.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შავი და ფერადი ლითონის ჯართით ვაჭრობა. შავი და ფერადი ჯართის რეალიზაცია ხდება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. ასევე ზოგჯერ ხდება სამშენებლო მასალით (მეორადი და ახალი არმატურა, გლინულა, ფურცელა ლისტით, მილი, კუთხე, შველერი) ვაჭრობა, და საერთაშორისო და შიდა საავტომობილო გადაზიდვების მომსახურების გაწევა.

შპს „აკმა“-ს დამფუძნებელია ჯამბულ გოგიტიძე (პ/ნ 61008008423) - კაპიტალის 100% წილი მფლობელი და კომპანიის დირექტორი.

შპს „აკმა“-ს არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველები

შპს „აკმა“-ს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ხდება საბუღალტრო პროგრამა „ბალანსის“ ქლაუდ ვერსიის გამოყენებით.

2.2. საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში. ქართული ლარი წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას, ქართული ლარისგან განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

შპს „აკმა“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს, მის პრინციპებს და სტანდარტებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის აქტივებისა, ვალდებულებების შეფასება, აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით, მათი თვითღირებულებით და ამ გარიგების დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

2.4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც მარტივად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2.5. სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება)

სავაჭრო მოთხოვნები არის კომპანიის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოქმნება კომპანიას სხვა ფიზიკურ თუ იურიდულ პირებთან ურთიერთობისას, ანუ სავაჭრო მოთხოვნები არის მყიდველებისაგან მისაღები თანხები, რომელიც წარმოქმნება საქონლის გაყიდვის შედეგად.

განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან მოთხოვნებს. მოკლევადიანია ის მოთხოვნები რომელთა დაფარვა მოსალოდნელია წარმოქმნიდან ერთი წლის მანძილზე, ხოლო გრძელვადიანი კი ის მოთხოვნები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია წარმოქმნიდან 12 თვის შემდეგ.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება უცხოურ ვალუტაში არსებული დებიტორული დავალიანებების გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აღიარდება არასაოპერაციო შემოსავალად ან არასაოპერაციო ხარჯად.

2.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის (მარაგის) აღრიცხვა

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები - ეს ისეთი აქტივებია, რომლებიც, გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავსმათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აქტივის დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომლის ვალდებულებასაც იღებს საწარმო ძირითადი საშუალების შემენის მომენტში.

ძირითადი საშუალებები საბალანსო შეფასება ხდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წეფივი მეთოდით, რაც გულისხმობს

ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას, ძირითადი საშუალების მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისას გამოიყენება შემდეგი განაკვეთები: 1) შენობა - ნაგებობები - 25 წელზე; 2) მანქანა - დანადგარები 1-10 წელზე; 3) სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5- 10 წელზე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

2.8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებება არის მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდებისას. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია 12 თვეზე მეტ პერიოდში მაშინ ის კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიან ვალდებულებებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტორული დავალიანების - სავაჭრო ვალდებულებების გადანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აღიარდება არასაოპერაციო შემოსავალად ან არასაოპერაციო ხარჯად.

2.9. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან ან მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლი ადგილობრივ ბაზარზე განთავისუფლებულია დღგს-გან ჩათვლის უფლებით, ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხოლო სამშენებლო მასალების რეალიზაცია იბეგრება დღგ-ს გადასახადით.

2.10. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება დარიცხვის მეთოდით ხდება, ანუ იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა. ხარჯების კლასიფიკაცია ფინანსურ ანგარიშგებაში მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხდება.

გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო იღებს შემოსავალს მოცემული პროდუქციის გაყიდვიდან. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტები ამ საქონლის რეალიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯია (მაგ. თავად საქონლის ღირებულება, პირდაპირი ხელფასები, მიწოდების ხარჯები ა.შ.).

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის

ადმინისტრირებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. დაქირავებული პირთა შრომის ანაზღაურება ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მუშობდნენ, ასრულებდნენ გარკვეულ სამუშაოს. შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომის კოდექსის და დამტკიცებულ საშტატო განაკვეთის შესაბამისად. შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	937,00	1 314 789,55
ფული საბანკო ანგარიშებზე	2 414,52	47 673,80
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	3 351,52	1 362 463,35

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	38 007,37	49 777,97
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		42,90
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2 655 897,91	927 340,72
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 693 905,28	977 161,59

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელისგან. მისი სტრუქტურა შემდეგია:

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
შავი ლითონის ჯართი	1 327 121,52	441 011,36
ალუმინი	0,00	1 426,46
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	443 709,79	307 249,03
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1 770 831,31	749 686,85

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

6. ძირითადი საშუალებები

მაჩვენებლის დასახელება	01.01.2021	შემოსვლა	გასვლა	წლიური ცვთა	31.12.2021
შენობა-ნაგებობები		20 000,00		-474,67	19 525,33
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)		4 100,00		-334,19	3 765,81
სულ	0,00	24 100,00	0,00	-808,86	23 291,14

მაჩვენებლის დასახელება	01.01.2022	შემოსვლა	გასვლა	წლიური ცვთა	31.12.2022
შენობა-ნაგებობები	19 525,33			-3 905,07	15 620,26
მანქანა-დანადგარები		119 533,90		-15 214,56	104 319,34
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	3 765,81	305,08		-763,36	3 307,53
სატრანსპორტო საშუალება		104 005,16		-7 865,39	96 139,77
სულ	23 291,14	223 844,14	0,00	-27 748,38	219 386,90

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	57 176,62	15 444,63
მიღებული ავანსები	421 792,04	148 981,57
სხვა ვალდებულებები	190,54	651,02
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	479 159,20	165 077,22

8. სასესხო ვალდებულებები

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულებები სს საქართველოს ბანკის წინაშე.

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხები	486 803,28	200 000,00
სულ სასესხო ვალდებულებები	486 803,28	200 000,00

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

9. ამონაგები

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
ამონაგები	9 242 684,44	18 747 220,58
საქონლის გაყიდვიდან	8 376 855,25	17 093 142,65
მომსახურების გაწევიდან	865 829,19	1 654 077,93
სულ ამონაგები	9 242 684,44	18 747 220,58

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

მაჩვენებლის დასახელება	2022	2021
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		
ადმინისტრაციული ხელფასები	-68 512,74	-29 351,00
იჯარა	-3 559,29	-2 372,86
საპროცენტო ხარჯი	-67 103,71	-13 685,54
სულ	-139 175,74	-45 409,40
მიწოდების ხარჯები	-507 951,00	-1 285 179,76
სხვა საგადასახადო ხარჯი	-1 289,67	
რემონტის ხარჯი	-3 050,84	
საბანკო ხარჯი	-126 813,94	-40 924,54
სხვა საერთო ხარჯი	-5 634,22	-5 713,80
სულ	-644 739,67	-1 331 818,10
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-783 915,41	-1 377 227,50